# რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარება და მოსახლეობის ცნობიერების შეფასება საქართველოში

მარიამ ცხვედიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი

თბილისი, 2023

# განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსნებეული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**მარიამ ცხვედიანი**

**15.06.2023**

# აბსტრაქტი


რეპროდუქციული ჯანმრთელობა წარმოადგენს სრულ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ სიჯანსაღეს რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებით ყველა საკითხში. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცება, ოჯახის დაგეგმვის სერვისებსა და უსაფრთხო აბორტზე ხელმისაწვდომობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობა, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია, ადრეული დიაგნოსტირება, მკურნალობა და სხვა.

საკითხის მრავლისმომცველობიდან გამომდინარე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. აღნიშნული სფეროს განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, გავლენას ახდენს როგორ რეპროდუქციული ასაკის მქონე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ისე განაპირობებს მომავალი თაობების სიჯანსაღეს.

**კვლევის მიზანია** საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარებისა და ჯანდაცვის სისტემის მხრიდან მისი პრიორიტეტულობის შეფასება, რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურებებისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა, რათა იდენტიფიცირდეს ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს აღნიშნული სფერო განვითარებაზე და შემუშავდეს რეკომენდაციები, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

**კვლევის ჰიპოთეზა:** სახელმწიფოს მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა რჩება გადასაჭრელი და აღნიშნული სფერო ჯანდაცვის სისტემისათვის არ არის საკმარისად პრიორიტეტული. ერთ-ერთი

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ხელს უშლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარებას არის პირველადი ჯანდაცვის სექტორის ჩართულობის ნაკლებობა და მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე.

**კვლევის ამოცანებია:**

1. საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებით არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და კანონმდებლობის მიმოხილვა;
2. საქართველოს მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საშუალებით;
3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებულობის შესასწავლად კვლევის ჩატარება;
4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარებაზე მოქმედი ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა;
5. არსებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია:** რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად შესწავლილ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა და დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები. მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის დასადგენად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. მონაცემთა შეგროვება მოხდა ონლაინ ანკეტირების მეთოდით, სოციალური პლატფორმების გამოყენებით. კითხვარი მოიცავდა 26 დახურულ კითხვას. კვლევისათვის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები 18-49 წლის ასაკის მქონე ქალები და შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 252 რესპოდენტი. კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები დამუშვდა SPSS-ის პროგრამის საშუალებით.

**დასკვნა:** ნაშრომის ფარგლებში განხილულ ლიტერატურასა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს განვითარების მიმართულებით შეინიშნება პოზიტიური ძვრები, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები განაპირობებს მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს აღნიშნული სფეროს

განვითარების  მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე, საჭირო სამედიცინო მომსახურებასა და კონტრაცეფციის საშუალებებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა და აღნიშნული სფეროს განვითარებაში პირველადი ჯანდაცვის სექტორის არასაკმარისი ჩართულობა.

**რეკომენდაციები:** არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლების დაბალი დონის მქონე და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე. მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვანია, სამედიცინო მომსახურებასა და კონტრაცეფციის მეთოდებზე ფინანსური და გეოგრაფიული ბარიერების შემცირება,  ხოლო ჯანდაცვის სისტემის მიერ ფინანსური რესურსების დასაზოგად, უმჯობესია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

**საძიებო სიტყვები:** რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა, უსაფრთხო აბორტი, კონტრაცეფცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, საშვილოსნოს ყელის კიბო, პირველადი ჯანდაცვა, მოსახლეობის ინფორმირებულობა.

# Abstract

Reproductive health represents complete physical, mental and social health in all aspects related to reproductive system. It includes such important directions as: strengthening maternal and child health, access to family planning services and safe abortion, prevention of sexually transmitted diseases, access to modern methods of birth control, prevention of cervical cancer, early diagnostics, treatment, etc.

Put down to the multiplicity the of matter, developing the reproductive health confers with great importance both at the global and national levels. The development of the mentioned field significantly determines the level of socio-economic development of country, affects the health of the population of reproductive age, and conditions the health of future generations.

**The aim of the research** is evaluating the development of reproductive health in Georgia and its priority on the part of the health care system, determining the level of population's awareness about the necessary medical services for reproductive health and their availability, in order to identify the main problems that have an effect on the development of mentioned field and develop recommendations, which later will be used in eliminating existing problems and improving reproductive health of the population.

**Research hypothesis**: despite the fact government has implemented multiple measures, there is still many important issues in the field of reproductive health of Georgia that remain to be solved, and the mentioned field is not a sufficient priority for the health care system. One of the most important factors that prevent the development of reproductive health is the lack of involvement of the primary health care sector and low level of awareness of the population.

**Research objectives:**

1. Reviewing the existing state programs and legislation associated to reproductive health in Georgia;

2. Assessing the state of reproductive health of the population of Georgia by means of statistical data analysis;
3. Conducting research to study the awareness of the population regarding reproductive health issues;
4. Determining the impeding factors affecting the development of the field of reproductive health;
5. Making conclusions and recommendations based on the analysis of available information and data.

**Research methodology:** In order to assess the current state of reproductive health in the country, scientific literature was studied and statistical data was processed. To determine the level of awareness of the population, a quantitative research was conducted. Data collection was done by online survey method, using social platforms. The questionnaire included 26 closed questions. Women aged 18-49 living in the territory of Georgia were defined as the target set for the research, and 252 respondents were interviewed by random sampling method. The information that was collected within the bounds of the research were processed through the SPSS program.

**Conclusion**: based on the literature and statistical data discussed in the work, it can be said that there is some positive changes spotted in the direction of the development of the field of reproductive health in Georgia. Nevertheless, there are still many factors hindering the buildout of this field. Among them, the low level of awareness of the population, the problem of financial and geographical access to the necessary medical services and contraceptive methods, and the insufficient involvement of the primary health care sector in the development of the mentioned field are particularly important.

**Recommendations:** In order to eliminate the existing problems, it is necessary to increase the awareness of the population using different means. In this direction, singular attention should be paid to the population with a low level of education and those living in rural areas. To improve the reproductive health of the population, it is important to reduce financial and geographical barriers to medical services and contraception methods, and to

save financial resources by the health system, it is better to integrate reproductive health services at the primary health care level.

**Keywords:** reproductive health, family planning, safe abortion, contraception, sexually transmitted disease, cervical cancer, primary health care, population awareness.